ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 15230253**

თარიღი:**25/01/2023**

ქალაქ ბათუმში, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30-ში მდებარე შპს „ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.26.28.053) მშენებარე საგანმანათლებლო კომპლექსის მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტად მიჩნევის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის N15 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის“ მე-4 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას ქალაქ ბათუმში, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30-ში მდებარე შპს „ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესის“ (ს/N404597165) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.26.28.053) მშენებარე საგანმანათლებლო კომპლექსი მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტად და ამ მიზნით მიეცეს მას კანონით დადგენილი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების უფლება - სკოლაზე 1 (ერთი) სართულის დამატების მიზნით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი